

უწყისი	38	დანართი II
გამოთვლებისას გამოსაყენებელი ფორმულები.....	48	

აბრევიატურები და ტერმინთა განმარტება

A/D გარდაქმნა : ანალოგურის ციფრულად გარდაქმნა

AC/DC: ცვლადი დენი/მუდმივი დენი

AHS : ავტომატური ჰიდროლოგიური სადგური; საზომი სისტემა

რომელიც შედგება მონაცემთა შემგროვებელი მოწყობილობის (DCU დატალოგერი), სენსორების, საკომუნიკაციო აპარატურის, კვების ბლოკების, სენსორების ანძის, დამცველი და დამიწების მოწყობილობებისგან.

AISI : ამერიკის რკინისა და ფოლადის ინსტიტუტი

API : აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი

AWS : ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური; საზომი სისტემა

რომელიც შედგება მონაცემთა შემგროვებელი მოწყობილობის (DCU დატალოგერი), სენსორების, საკომუნიკაციო აპარატურის, კვების ბლოკების, სენსორების ანძის, დამცველი და დამიწების მოწყობილობებისაგან.

ტენდერში მონაწილე : მხარე რომელიც წარმოადგენს ფასის შეთავაზებას

BoQ : რაოდენობათა უწყისი

CE : ევროპული შესაბამისობის ნიშანი

CIMO : დაკვირვების ინსტრუმენტებისა და მეთოდების კომისია CSD :

მონაცემთა გადაცემა კომპუტირებული არხებით კონტრაქტორი : კანდიდატი

რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება DCAS : მონაცემთა შეგროვებისა და არქივირების სისტემა

DCU : მონაცემების შემგროვებელი მოწყობილობა (დატალოგერი)

DIN : გერმანიის სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანიზაცია

DNS : დომენების სახელების სისტემა

EMC : ელექტრომაგნიტური თავსებადობა

EMI : ელექტრომაგნიტური დაბრკოლება

FAT : ქარხნული მიღება-ჩაბარების ტესტ პროცედურები

GHMD : საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი

GMT : გრინვიჩის საშუალო დრო

GPRS : საერთო სარგებლობის პაკეტური რადიოკავშირი

GPS : გლობალური პოზიციონირების სისტემა

GSM : მობილური კავშირის გლობალური სისტემა

GTS : ტელეკომუნიკაციის გლობალური სისტემა

HSDPA : მაღალსიჩქარული პაკეტური წვდომა დამავალი არხით

HSUPA : მაღალსიჩქარული პაკეტური წვდომა აღმავალი არხით

HTTP : ჰიპერტექსტის გადაცემის პროტოკოლი

ICT : საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

IEC : საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია

I/O : შეტანა/გამოტანა

IP : შედწვევისგან დაცვა

ISO : სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

IT : ინფორმაციული ტექნოლოგია

LCD : თხევადკრისტალური დისპლეი

LED : მანათობელი დიოდი

MTBF : საშუალო დრო მტყუნებებს შორის

MTTR : შეკეთების საშუალო დრო

NEA : გარემოს ეროვნული სააგენტო

NMOT : ქსელის მონოტორინგისა და მართვის ტერმინალი

NTP : დროის ქსელური პროტოკოლი

შემსყიდველი უწყება : გარემოს ეროვნული სააგენტო

QFF : საშუალო წნევა ზღვის დონეზე

RTD : ტემპერატურის რეზისტორული დეტექტორები

- RFI : რადიოსიხშირული დაბრკოლება
- RS-232 : სერიული კომუნიკაციით მონაცემთა გადაცემის
რეკომენდირებული სტანდარტი
- RS-485 : სერიული კომუნიკაციის სისტემების ამგზნებებისა და
მიღებების ელექტრული მახასიათებლების განმსაზღვრელი
რეკომენდირებული სტანდარტი
- SAT : განთავსების ადგილზე მიღება-ჩაბარების ტესტ პროცედურები
- SDI-12 : 1200 ბოდის სიჩქარის ციფრული სერიული ინტერფეისი
- SMS : მოკლე შეტყობინების სერვისი
- SMTP : ელ. ფოსტის მარტივი გადაცემის პროტოკოლი
- TCP/IP : გადაცემის მართვის პროტოკოლი/ინტერნეტ პროტოკოლი
- USB : უნივერსალური სერიული სალტე
- UTC : უნივერსალური კოორდინირებული დრო
- VWC : წყალშემცველობა
- WIGOS : WMO დაკვირვების ინტეგრირებული გლობალური
სისტემა
- WIS : WMO ინფორმაციული სისტემა
- WMO : მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია

1. შესავალი

1.1. დაკვირვების სისტემების დანიშნულება დაკვირვების სისტემებმა უნდა წარმოადგინონ დაკვირვების მონაცემები რამდენიმე დანიშნულებით მათი გამოყენებისა და სოციო-ეკონომიკური დარგის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ:

- ამინდის პროგნოზი
- ჰიდროლოგიური პროგნოზი
- მრავლობითი საფრთხეების მოდელირება, ასახვა და მართვა
- მრავლობითი საფრთხეების რისკებისა და მოწყვლადობის შეფასება
- საგანგებო მდგომარეობებისათვის მზაობა და რეაგირების დაგეგმვა
- დარგების მიხედვით მრავლობითი საფრთხეებისადმი მდგრადობის დაგეგმვა
- მრავლობითი საფრთხეების ადრეული შეტყობინება
- ამინდის პროგნოზირების ციფრული მოდელები
- სამეცნიერო კვლევები
- კლიმატოლოგიური ანალიზი
- სოფლის მეურნეობა
- ჰიდროლოგია
- წყლის მენეჯმენტი
- ენერგეტიკა
- ტრანსპორტი
- ავიაცია
- დაზღვევა

1.2. სპეციფიკაციებით განსაზღვრული დაკვირვების სისტემების ზოგადი მახასიათებლები

კანდიდატის მიერ შეთავაზებული დაკვირვების სისტემა უნდა იყოს მთელი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, გრძელვადიანი და მდგრად მუშაობის ციკლზე გათვლილი, პრაქტიკაში გამოცდილი და სანდო სისტემა. შემოთავაზებული დაკვირვების სისტემის მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ასეთი სისტემების დაპროექტების, დამონტაჟებისა და წარმოების დადასტურებული გამოცდილება. ამასთან მას უნდა გააჩნდეს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მიერ დაკვირვების, დაკვირვების სისტემების და მონაცემთა გაცვლის შეტყობინებების ფორმატების შესახებ გაცემული ტექნიკური რეგულაციებისა და სახელმძღვანელო

მასალების ცოდნა. WMO-ს მიერ გაცემული შესაბამისი რეგულაციების და სახელმძღვანელო მასალების ჩამონათვალი მოცემულია ამ სპეციფიკაციის ცნობარში.

წინამდებარე სპეციფიკაციის ფარგლებში მოწოდებულ დაკვირვების სისტემებს უნდა შეეძლოთ:

- წარმოადგინონ მაღალი ხარისხის დაკვირვების მონაცემები
- სისტემის გავრცობა სენსორების დამატების გზით
- იფუნქციონირონ სხვადასხვა კლიმატოლოგიურ და მკაცრ გარემო პირობებში
- მარტივად დაკონფიგურირდეს სხვადასხვა კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით როგორებიცაა GSM, თანამგზავრული კავშირი და ინტერნეტი
- კვების წყაროდ გამოიყენოს ელექტროქსელი და მზის პანელებით დამუხტვადი აკუმულატორი.

1.3. დაკვირვების მონაცემები მეტეოროლოგიური დაკვირვების სადგურებიდან
წინამდებარე სპეციფიკაციის ფარგლებში, NEA-ს სადამკვირვებლო ქსელში დამონტაჟებული მეტეოროლოგიური დაკვირვების სადგურებიდან შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი დაკვირვების პარამეტრების მიღება:

- ქარის სიჩქარე და მიმართულება
- ჰაერის ტემპერატურა
- ტენიანობა
- ნალექი
- ჰაერის წნევა
- გლობალური მზის რადიაცია
- თოვლის საფარის სიღრმე
- წყლის ექვივალენტი თოვლში
- ნიადაგის ტემპერატურა
- ნიადაგის ტენიანობა
- მიმდინარე ამინდი
- გზების მდგომარეობა

დამატებითი პარამეტრების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს დაკვირვების მონაცემების გამოთვლითა და სტატისტიკური ანალიზით. გამოთვლებში გამოსაყენებელი ფორმულები მოცემულია დანართი II-ში. ქვემოთ მოცემულია გამოსათვლელი პარამეტრები:

- ნამის წერტილის ტემპერატურა
- საშუალო წნევა ზღვის დონეზე (QFF)
- აორთქლება

- წელის ორთქლი
- მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო მაჩვენებლები
- ნალექის ინტენსივობა

1.4. დაკვირვების მონაცემები ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურებიდან

ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი ჰიდროლოგიური მონაცემების გაზომვა და მოწოდება:

- წელის დონე
- წელის ხარჯი

წელის დონის, წელის სიჩქარისა და წელის ხარჯის გაზომვის საფუძველზე უნდა შეიქმნას ტარირების მრუდი.

2. სპეციფიკაციების მოქმედების სფერო

წინამდებარე სპეციფიკაციები მოიცავს დაკვირვების სისტემების ტექნიკური მახასიათებლებისა და საექსპლუატაციო მოთხოვნების განმარტებას.

დაკვირვების სისტემებისადმი და ქვეკომპონენტებისადმი ამ სპეციფიკაციებით წაყენებული მოთხოვნები შესაძლებელი შემდეგნაირად შეჯამდეს:

- ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
- AWS, AHS, მომსახურების/ტესტირების და საველე კალიბრაციის მოწყობილობის მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები
- ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება
- გარანტია
- საექსპლუატაციო საიმედოობა
- დოკუმენტაცია
- სწავლება
- მიწოდების პროგრამა

მოსაწოდებელი აპარატურისა და მომსახურების შესახებ მონაცემები მოწოდებულ უნდა იქნას წინამდებარე სპეციფიკაციების დანართი I-ის „რაოდენობათა უწყისის“ სახით. დანართი I მომზადდება ტენდერში მონაწილის მიერ, შემოთავაზებული სისტემებისა და მომსახურების შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია წინამდებარე სპეციფიკაციის ფარგლებში შესაძენი სისტემები:

2.1. მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სადგურები (AWS და AHS):

ა) 12 AWS (AWS, ტიპი-1) მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის უნდა იყოს აღჭურვილი შემდეგი სენსორებით:

- ქარის სიჩქარე და მიმართულება
- ჰაერის ტემპერატურა
- ტენიანობა
- ნალექი
- ჰაერის ტემპერატურა □ მზის გლობალური რადიაცია

ბ) 73 AWS (AWS, ტიპი-2) მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის უნდა იყოს აღჭურვილი შემდეგი სენსორებით:

- ჰაერის ტემპერატურა
- ტენიანობა

- ნალექი

გ) 10 თოვლის საზომი სადგური წარმოდგენილი სპეციალური AWS-ის სახით (AWS, ტიპი-3) მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის უნდა იყოს აღჭურვილი შემდეგი სენსორებით:

- ჰაერის ტემპერატურა
- ტენიანობა
- ნალექი
- თოვლის საფარის სიღრმე
- წყლის ეკვივალენტი თოვლში □ ქარის სიჩქარე და მიმართულება

დ) წინამდებარე სპეციფიკაციებით ფარგლებში უნდა მოხდეს შემდეგი ჰიდროლოგიური დაკვირვების სისტემების მოწოდება:

- წყლის დონის სენსორით აღჭურვილი 44 ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგური

ე) ძირითად სისტემებთან ერთად სპეციფიკაციებით გათვალისწინებულია შემდეგი მოწყობილობები და მომსახურება:

- მიმდინარე მომსახურებისა და ტესტირების ხელსაწყოები
- კალიბრაციის საველე ხელსაწყოები
- ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება
- საგარანტიო პერიოდის მომსახურება
- დოკუმენტაცია
- სწავლება
- დამატებითი სენსორები
- სათადარიგო ნაწილები

3. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

ქვემოთ მოცემულია ზოგადი მოთხოვნები რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ტენდერში მონაწილემ ტექნიკური შემოთავაზების მომზადებისას:

3.1. ტენდერში მონაწილემ მისი შემოთავაზების შესაბამისად უნდა მოამზადოს დანართი I-ში მოცემული რაოდენობათა უწყისი (BoQ) ინგლისურ და ქართულ ენაზე (დამოწმებული თარგმანი) და გააგზავნოს ის ელექტრონული შემოთავაზების სახით. ტენდერში მონაწილეს შეუძლია თავის BoQ-ს საჭიროებისამებრ დაამატოს სტრიქონები თითოეული ერთეულისათვის.

3.2. ტენდერში მონაწილემ 3.4 პუნქტის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული სისტემებისა და მათი კომპონენტების ორიგინალური

კატალოგები და ტექნიკური დოკუმენტაცია/სპეციფიკაციები ელექტრონული სახით, ინგლისურ ენაზე (ასევე ქართულ ენაზე თარგმნილი). ტექნიკურ კატალოგებში ხელით შეტანილი ცვლილებები და შესწორებები (კალმით, ფანქრით ან სხვა) არ მიიღება და ასეთ შემთხვევაში მოხდება სატენდერო განცხადების ტენდერიდან დისკვალიფიცირება განმარტებების გარეშე.

3.3. შემოთავაზებული დაკვირვების სისტემების და სენსორების მწარმოებელი უნდა ფლობდეს მოქმედ ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიკატს და ეს სერტიფიკატი წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განაცხადთან ერთად.

3.4. ტენდერში მონაწილემ უნდა მიუთითოს ყოველი შემოთავაზებული სისტემის და კომპონენტის მწარმოებლის სახელი, მწარმოებელი ქვეყანა და მოდელი შემდეგი ჩამონათვალის მიხედვით:

- დატალოგერი
- ყუთი
- ანძა
- AC/DC კვების ბლოკი
- აკუმულატორი
- მზის პანელი
- დამმუხტველი
- GSM მოდემი
- ანტენა
- სენსორები
- სატესტო მოწყობილობა
- საველე საკალიბრაციო მოწყობილობა

3.5. ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული სისტემების რეფერენს ლისტი. სატენდერო განაცხადს თან უნდა ახლდეს სარეკომენდაციო წერილი შემოთავაზებული სისტემების 3 (სამი) მომხმარებლისაგან. სარეკომენდაციო წერილები უნდა ეხებოდეს 2010 წლის შემდეგ მიწოდებულ სისტემებს და უნდა ასახავდეს მყიდველის კმაყოფილებას მიწოდებულ სისტემებზე.

3.6. ამ პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული სისტემები, კომპონენტები, სენსორები და მოწყობილობა უნდა იყოს სერიულად წარმოებული მწარმოებლის (მწარმოებლების) მიერ.

3.7. შემსყიდველი უწყება უფლებას იტოვებს ტენდერში მონაწილისაგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია შემოთავაზებული პროდუქტის ან შეთავაზებული სისტემის ან მისი კომპონენტების მწარმოებლის

შესაძლებლობებისა და გამოცდილების შესახებ, რომელიც გულისხმობს: დეტალური მიწოდებების ჩამონათვალი, ინფორმაცია საწარმოო ხაზის შესახებ, თანამშრომელთა ოდენობა, წარმოებული პროდუქციის ფოტოები, სახელმძღვანელოები, ტესტირების ანგარიში, მწარმოებლის ვებ გვერდი და ა.შ. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე ვერ შეძლებს მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებას ან შემსყიდველი უწყება ვერ შეძლებს ტენდერში მონაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მწარმოებლის შესაძლებლობებისა და გამოცდილების დადგენას, ტენდერში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

- 3.8.** სისტემის თითოეული კომპონენტის მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ამგვარი სისტემების წარმოების სულ მცირე 5 წლიანი მიმდინარე გამოცდილება დაწყებული 2015 წლიდან.
- 3.9.** იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე არ არის შემოთავაზებული დაკვირვების სისტემების, მაგალითად მეტეოსადგურის, ჰიდროლოგიური სადგურის მწარმოებელი, მან უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF) შემოთავაზებული სისტემების ტენდერის ნომრის მითითებით.
- 3.10.** შემოთავაზებული AWS/AHS და სენსორების მწარმოებელს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 4 მილ. ევროს წლიური ბრუნვა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2015 – 2019). შემსყიდველი სააგენტო იტოვებს უფლებას მოითხოვოს დეტალური ინფორმაცია წლიურ ბრუნვებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, ან შემსყიდველი სააგენტო ვერ დაადგენს წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობას, მონაწილე იქნება ტენდერიდან დისკვალიფიცირებული.
- 3.11.** AWS/AHS სისტემების მწარმოებელს უნდა გააჩნდეს ამ პროექტში შემოთავაზებული AWS/AHS სისტემების ყოველწლიურად არანაკლებ 50 ერთეულის დამზადებისა და მიწოდების გამოცდილება OECD წევრ ქვეყნებში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2015 – 2019). ამის დასადასტურებლად შესაბამისი მიწოდების რეფერენსი ლისტის დოკუმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი.
- 3.12.** AWS/AHS სენსორების მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ამ პროექტში შემოთავაზებული სენსორების წარმოებისა და მიწოდების გამოცდილება OECD წევრ სახელმწიფოებში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2015 – 2019) ქვემოთ მოცემული რაოდენობების გათვალისწინებით:

- ატ. ჰაერის ტემპერატურის სენსორი - არანაკლებ 2 000 ერთ.
- ტენიანობის სენსორი - არანაკლებ 2 000 ერთ.
- წნევის სენსორი - არანაკლებ 1200 ერთ.
- ნალექის სენსორი - არანაკლებ 650 ერთ.
- მზის გლობალური რადიაციის სენსორი - არანაკლებ 1000 ერთ.
- ქარის სიჩქარის და მიმართულების სენსორი - არანაკლებ 750 ერთ.
- თოვლის საფარის სიღრმის სენსორი - არანაკლებ 750 ერთ.
- თოვლში წყლის ექვივალენტის სენსორი - არანაკლებ 60 ერთ.
- წყლის დონის რადარული სენსორი - არანაკლებ 2500 ერთ.
- ნიადაგის ტემპერატურის სენსორი - არანაკლებ 450 ერთ.
- ნიადაგის ტენიანობის სენსორი - არანაკლებ 450 ერთ.
- ფაქტიური ამინდის სენსორი - არანაკლებ 320 ერთ.
- საგზაო პირობების სენსორი - არანაკლებ 320 ერთ.

მიწოდებების რაოდენობაზე ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მთლიან პაკეტთან ერთად. OECD წევრი ქვეყნების ჩამონათვალი: <http://www.oecd.org/about/members-and-partners>.

3.13. მონაწილემ შეთავაზებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს AWS/AHS სისტემების საწარმოების მისამართები. FAT უნდა იყოს განხორციელებული წარმოების იმავე მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნება შეთავაზებაში.

3.14. წინამდებარე სპეციფიკაციებსა და მის დანართებში მითითებულ თითოეულ პუნქტზე ტენდერში მონაწილემ უნდა გასცეს პასუხი ტექნიკურ სპეციფიკაციებში მითითებული თანმიმდევრობით. ნებისმიერი წინააღმდეგობა პასუხებსა და ტექნიკური კატალოგების მონაცემებს შორის ჩაითვლება ტენდერის მოთხოვნათა შეუსაბამობად. პასუხები უნდა იყოს ნათელი და გასაგები. პასუხები შეკითხვებზე რომლებიც შეეხება სისტემის განსაზღვრულ მახასიათებლებს, არ შეიძლება იყოს მოკლე, მაგალითად „OK“, „გასაგებია“ ან „შეესაბამება“. თუ შემოთავაზებული სისტემა არ შეესაბამება ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მოხდება სატენდერო განცხადების დისკვალიფიკაცია. თუ სატენდერო განაცხადში მითითება ხდება კონკრეტულ დოკუმენტზე, აუცილებელია დოკუმენტის სახელწოდების და შესაბამისი გვერდის აღნიშვნა. პასუხები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ფორმატით:

ტექ. სპეც. ერთ. #	ტექ. სპეც. ერთეული	ჩვენი პასუხი	მითითება
-------------------	--------------------	--------------	----------

.....
4.1.1.5.	ანალოგურ ინტერფეისს უნდა გააჩნდეს 16 ან მეტი ბიტის A/D კონვერტაციის სიჩქარე	შემოთავაზებულია XXX მწარმოებლის YYY მოდელი დატალოგერი. მას აქვს 24 ბიტის A/D რაც შეესაბამება და აღემატება მოთხოვნილს	ტექნიკური დეკუმენტაცია/კატალოგები (ნაწილი 4 - დატალოგერი) (ნაწილი 4/ გვერდი 7)
.....

4. AWS და AHS-ის მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულია ტენდერში მონაწილის მიერ შემოთავაზებული დაკვირვების სისტემებისადმი წაყენებული ტექნიკური მახასიათებლებისა და წარმადობის მოთხოვნები.

4.1. ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურები

მეტეოროლოგიური სადგურები, მეტეოროლოგიური საგუშაგოები და თოვლის საზომი სადგურები წარმოდგენილი უნდა გახლდნენ ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურების სახით რომელიც დააკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნები:

4.1.1. დატალოგერი (მონაცემთა შემგროვებელი მოწყობილობა - DCU)

- 4.1.1.1. დატალოგერს უნდა გააჩნდეს ყველა დაერთებული სენსორის განსაზღვრული ტექნიკური სპეციფიკაციებისა და წარმადობის სრული მხარდაჭერის შესაძლებლობა.
- 4.1.1.2. დატალოგერს უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ტიპის სენსორის მხარდაჭერის შესაძლებლობა, რომელსაც აქვს მსგავსი გამომავალი არხი, მიუხედავად მწარმოებლისა.
- 4.1.1.3. დატალოგერზე დაერთებული ყველა სენსორი უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად, სხვა სენსორების მუშაობაზე ზეგავლენის გარეშე, გარდა SDI-12 პორტზე დაერთებულ სენსორებისა.
- 4.1.1.4. დატალოგერს უნდა გააჩნდეს არანაკლებ ქვემოთ მოცემული შემავალი და გამომავალი და კომუნიკაციის პორტები.
 - ა) ანალოგური შემავალი არხები: არანაკლებ 16 ცალმხრივი დაბოლოების არხი (8 დიფერენციალური არხი)
 - ბ) პულსური შემავალი არხები: არანაკლებ 2 დათვლის/სიხშირის არხი
 - გ) ციფრული I/O არხები: არანაკლებ 4 არხი
 - დ) სერიული კომუნიკაცია: RS-232, RS-485, SDI-12
 - ე) დატალოგერს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომუნიკაციის პროტოკოლების მხარდაჭერა: HTTP, FTP, Telnet, SMTP, NTP, WEB, TCP/IP
- 4.1.1.5. ანალოგურ ინტერფეისს უნდა გააჩნდეს 16 ან მეტი ბიტის A/D კონვერტაციის შესაძლებლობა.
- 4.1.1.6. დატალოგერის ანალოგურ სენსორის ინტერფეისს უნდა ქონდეს მინიმუმ 1 kV. გადამეტაბვისაგან შიდა დაცვა, ან იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფუნქციონალი არ არის გათვალისწინებული, თითოეულ ანალოგურ სენსორს უნდა მოყვებოდეს DIN რეიკაზე დამაგრებადი მინიმუმ 1 kV. გადამეტაბვისაგან მცველი მოწყობილობა სამუშაო ტემპერატურული დიაპაზონით - 40 - +60°C ან უკეთესი.
- 4.1.1.7. დატალოგერის შემავალი არხები უნდა იყოს ინდივიდუალურად კონფიგურირებადი საბოლოო მომხარებლის მიერ.

- 4.1.1.8. დატალოგერს უნდა გააჩნდეს სხვადასხვა სენსორისათვის განსხვავებული შერჩევის ინტერვალის დაპროგრამების შესაძლებლობა. მონაცემთა მიღების სიხშირე უნდა იყოს კონფიგურირებადი 1 წამიდან 24 საათამდე 1 წამიანი ბიჯის გათვალისწინებით.
- 4.1.1.9. დატალოგერს უნდა გააჩნდეს გაძლიერების, მასშტაბის ფაქტორების, კალიბრირების კოეფიციენტებისა და მონაცემთა ხარისხის ვალიდაციის კონფიგურაციის შესაძლებლობა თითოეული სენსორისათვის ინდივიდუალურად.
- 4.1.1.10. დატალოგერზე წვდომა შესაძლებელი უნდა იყოს როგორც ლოკალურად ისე დისტანციურად. წვდომა უნდა იყოს დაცული პაროლით რათა გამოირიცხოს არასანქცირებული გამოყენება.
- 4.1.1.11. როდესაც დატალოგერი დაკავშირებულია ლოკალურად და დისტანციურად, უნდა ხორციელდებოდეს AWS-ის სტატუსის ინფორმაციის და სენსორების დაკვირვების მონაცემების მონიტორინგი.
- 4.1.1.12. დატალოგერს უნდა გააჩნდეს როგორც ანალოგური, ასევე ციფრული დაერთებული სენსორების სტატუსის გამოტანის საშუალება. თითოეული სენსორისათვის მითითებულ უნდა იქნას ცვლადი სტატუსი, რომლის დამატებაც შესაძლებელი იქნება რეპორტში ან რომლის მონიტორინგიც შესაძლებელი უნდა იქნას განგაშის ან მომსახურების დროს.
- 4.1.1.13. დატალოგერთან დისტანციურად ან ლოკალურად დაკავშირებისას, დატალოგერის პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იძლეოდეს საშუალებას ნებისმიერ სენსორი გადაერთოს აქტიურ ან პასიურ მდგომარეობაში, მონაცემთა გენერაციის ან გადაგზავნის მიზნით.
- 4.1.1.14. დატალოგერზე მიმდინარე მომსახურებისათვის მიერთებისას, დატალოგერმა უნდა განაგრძოს ცენტრალურ სისტემებში მონაცემთა გადაგზავნა. ტერმინალზე მიერთების დროს განხორციელებულმა ოპერაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი მონაცემთა შეგროვებას, ვალიდაციას ან გადაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ხორციელდება მიზანმიმართულად მომხმარებლის მიერ.
- 4.1.1.15. დატალოგერს უნდა ჰქონდეს „სმარტ“ სერიულ სენსორებთან ტერმინალით დაკავშირების, მონაცემთა და დიაგნოსტიკური ინფორმაციის მიღების (ამგვარი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) და სენსორის მუშაობის კონტროლის შესაძლებლობა.
- 4.1.1.16. დატალოგერს უნდა გააჩნდეს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა რეჟიმების მხარდაჭერა, რომელიც უნდა გულისხმობდეს როგორც მინიმუმ შემდეგ ოფციებს: დაგეგმილი, მოთხოვნის მიხედვით და განგაშზე დაფუძნებული მონაცემთა შეგროვება.
- 4.1.1.17. დატალოგერს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა მოახდინოს მონაცემების მესიჯების წინასწარ განსაზღვრული გაგზავნის ინტერვალების მიხედვით კონფიგურაცია. მას ასევე უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა

დააკონფიგურიროს რამოდენიმე მონაცემთ მესიჯები სხვადასხვა კალკულაციებისა და ინტერვალების მიხედვით.

- 4.1.1.18.** დატალოგერს უნდა გააჩნდეს ფუნქცია განსაზღვროს ნებისმიერი გაზომილი და დათვლილი პარამეტრის ზღვარი რომ განხორციელდეს შესაბამისი ქმედება თუ ასეთი ზღვარი არის გადალახული. მას შემდეგ რაც ზღვარი მიღწეულ იქნება, დატალოგერმა ავტომატურად უნდა განხორციელოს მონაცემთა შეგროვების ინტერვალის ცვლილება, სანამ მნიშვნელობა არ დაუბრუნდება ზღვრის ქვემოთ არსებულ ნიშნულს.
- 4.1.1.19.** დატალოგერს უნდა ქონდეს სტატისტიკური დათვლის მხარდაჭერა 1 წმ-დან 24 საათის ფარგლებში. როგორც მინიმუმ, ქვემოთ მოცემული ოპერაციები უნდა იყოს მხარდაჭერილი: საშუალო, მინიმუმი, მაქსიმუმი, სტანდარტული გადახრა, ჯამი და არითმეტიკული ოპერაციები. დატალოგერს ასევე უნდა ქონდეს მომხმარებლის სპეციფიური დათვლის ფორმულების კალკულაციის მხარდაჭერა.
- 4.1.1.20.** დატალოგერს უნდა გააჩნდეს ნებისმიერი გასაზომი ან დათვლილი პარამეტრის ზღვრების მითითების ფუნქციონალური მხარდაჭერა. უნდა შესაძლებელი იყოს განგაშის უზრუნველყოფა თუ პარამეტრი ცდება ზედა ზღვარს, ჩადის ქვედა დადგენილის ზღვრის ქვემოთ, დადგენილ ორ ზღვარს შუაა, დადგენილი რიგის მიღმაა. თუ განგაში გააქტიურებულია უნდა შესაძლებელი იყოს შემდეგი ქმედებები: წინასწარ განსაზღვრული მომხმარებლებთან მესიჯის გაგზავნა, საგანგაშო მონაცემის შენახვა, გარე სიგნალის განხორციელება (რელე, ჩამრთველი, ა.შ.). მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დააკონფიგურიროს ქმედება, რომელიც შესრულებულ უნდა იქნას განგაშის დადგომის დროს უნდა იყოს ერთჯერადი თუ მუდმივი სანამ განგაშის პირობა არის დაკმაყოფილებული.
- 4.1.1.21.** დატალოგერს უნდა ქონდეს ხარისხის კონტროლის ფუნქციის მხარდაჭერა
- 4.1.1.21.1** სისტემას უნდა გააჩნდეს ფუნქცია შეამოწმოს მონაცემის ხარისხი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ზუსტი და სრულყოფილი მონაცემების შეგროვება. მას უნდა შეეძლოს ავტომატურად მონიშნოს გამოტოვებული ან არასწორი მონაცემი მომხმარებლის მიერ განსაზღვრული სიმბოლოს/ტექსტის მიხედვით.
- 4.1.1.21.2** ყოველი გაზომვისას სისტემას უნდა შეეძლოს ავტომატურად განახორციელოს შემდეგი ხარისხობრივი შემოწმებები:
- დააკონფიგურიროს ზედა და ქვედა კლიმატოლოგიური ზღვარი თითოეული გაზომილ პარამეტრისთვის, რომელიც იქნება განსაზღვრული როგორც სენსორის ნორმალური მუშაობის ზღვარი რათა თავიდან აცილებულ იქნას არასწორი მონაცემების ჩაწერა. პარამეტრები უნდა იყოს მომხმარებლის მიერ კონფიგურირებადი ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნებიდან გამომდინარე.
 - ყოველი პარამეტრისათვის ბიჯის ცვლილების კონფიგურაცია. თუ სენსორის გამომავალი მნიშვნელობა იცვლება მითითებულ მაქსიმალურ მნიშვნელობაზე მეტად ზედიზედ ორ გაზომვას შორის, ეს მონაცემი უნდა აღირიცხოს როგორც არასწორი. პარამეტრი უნდა იყოს

კონფიგურირებადი ადგილობრივი პირობების ან მოთხოვნების შესაბამისად.

- თითოეული სტატისტიკური კალკულაციისათვის კონფიგურირებადი პარამეტრის გაწერა ნიმუშების მინიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის. იმ შემთხვევაში თუ ნიმუშების რაოდენობა იქნება ნაკლები ვიდრე წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობა, დათვლილი სტატისტიკური მნიშვნელობა ასევე ჩაითვლება არასწორად.

- 4.1.1.22.** დატალოგერს უნდა ჰქონდეს დროებითი კავშირის გაუმართაობის აღქმისა და ავტომატურად აღდგენის შესაძლებლობა. კომუნიკაციის დროებითი შეფერხების დროს, დატალოგერმა უნდა შეინახოს გამავალი მონაცემები მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ ზღვრებამდე, იმისათვის რომ ბუფერული შეტყობინებების გადაცემა განხორციელდეს დანიშნულების ადგილას, როგორც კი მონაცემთა გადაცემა აღდგება.
- 4.1.1.23.** დატალოგერს უნდა ჰქონდეს ფუნქცია, რომ შევიდეს დაბალი ენერჯის მოხმარების რეჟიმში სადგურზე ელექტრო ენერჯის გათიშვის შემთხვევაში. დაბალი მოხმარების რეჟიმში, სისტემამ უნდა გამორთოს მონაცემთა გადაცემის მოწყობილობა და მხოლოდ ჩართოს იგი მხოლოდ მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ დროს, მონაცემების მონაცემთა შეგროვების ცენტრში გასაგზავნად ასეთ შემთხვევაში მონაცემთა შეგროვების ფუნქციონირება უნდა იყოს სრულად ფუნქციონალური. როგორც კი სადგურზე აღდგება ელექტროენერჯია, სისტემა უნდა ავტომატურად დაუბრუნდეს მონაცემების გადაცემის საწყის კონფიგურაციას.
- 4.1.1.24.** დატალოგერს უნდა ჰქონდეს გარე მეხსიერების ბარათების გამოყენების მხარდაჭერა არანაკლებ 2 GB მოცულობით, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს სისტემასთან ერთად. ფლემ ბარათები უნდა იყოს ინდუსტრიული ტიპის და მუშაობდეს ტემპერატურის დიაპაზონში -40 - + 60 °C. მეხსიერების ბარათი უნდა იკითხებოდეს ნებისმიერი ლეპტოპის საშუალებით, რომლებსაც აქვთ Flash მეხსიერების ბარათების წაკითხვის შესაძლებლობა.
- 4.1.1.25.** ავტორიზებულ მომხმარებლებს ლოკალური და დისტანციური წვდომით უნდა შეეძლოს პროგრამული უზრუნველყოფის წაშლა და ინსტალაცია, მეხსიერებაში არსებულ მონაცემებზე წვდომა და მათი გადმოწერა, აგრეთვე დატალოგერის კონფიგურაციის ცვლილება.
- 4.1.1.26.** უნდა იყოს შესაძლებელი დატალოგერზე დაერთებული სენსორების გამოცვლა, ახალი სენსორების დამატება, დატალოგერის გამოყენება სხვა სადგურზე, მასზე არსებული პარამეტრების და გამოთვლების ნებისმიერ დროს ცვლილება. დეტალური მომხმარებლის სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაზე თან უნდა ერთოდეს შეთავაზებული სისტემების სატენდერო განაცხადს რათა შემსყიდველმა უწყებამ შეძლოს შეთავაზებული დატალოგერის შესაძლებლობების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება.

- 4.1.1.27.** კონტრაქტორი პასუხისმგებელია დატალოგერის ექსპლუატაციის პერიოდში მასზე მომუშავე ოპერაციული სისტემის ახალი ვერსიები უსასყიდლოს მოწოდებაზე. პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ განახლება უნდა იყოს თავსებადი არსებულ სისტემებთან.
- 4.1.1.28.** ტენდერში მონაწილე შემსყიდველს გადასცემს დატალოგერის კონფიგურაციის აპლიკაციის პროგრამას მომავალში ცვლილებების შეტანის, ახალი სენსორების დამატების და ცდომილების კორექციის მნიშვნელობის შეტანის მიზნით. პროგრამა უფასო უნდა იყოს, ხოლო დატალოგერის კონფიგურაციის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ასევე უფასო უნდა იყოს საბოლოო მომხმარებლისთვის.
- 4.1.1.29.** შემსყიდველ უწყებას უნდა გადაეცეს დატალოგერზე ლოკალური და დისტანციური წვდომისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და დასაკავშირებელი მოწყობილობები. კონტრაქტორი პასუხისმგებელია დატალოგერის ექსპლუატაციის პერიოდში, ხსენებული პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსიები უსასყიდლოს მოწოდებაზე. პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ განახლება უნდა იყოს თავსებადი არსებულ სისტემებთან. ამ ტიპის განახლებამ არ უნდა გამოიწვიოს სისტემების მუშაობის შეფერხება ან შეჩერება.
- 4.1.1.30.** ყველა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია უნდა გადაეცეს შემსყიდველ უწყებას. რომელიმე პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გარეშე გამოყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორს.
- 4.1.1.31.** დატალოგერში მონაცემთა არქივირების ფორმატს და სტრუქტურას, ასევე მონაცემთა გადაცემას მონაცემთა შეგროვებისა და არქივირების სერვერზე (DCAS) ცენტრში უზრუნველყოფს კონტრაქტორი. ხსენებული სტრუქტურის და ფორმატის ცვლილება უნდა შეეძლოს მომხმარებელს.
- 4.1.1.32. სისტემის თარიღი და დრო**
- ა) დატალოგერი მუშაობისას უნდა იყენებდეს UTC დროს.
 - ბ) დატალოგერმა სისტემურ დროთ უნდა გამოიყენოს GHMD სერვერის დრო.
 - გ) სინქრონიზაცია უნდა განხორციელდეს NTP ან GPS მოდულების მეშვეობით.
 - დ) კომუნიკაციის ნორმალური რეჟიმის აღდგენისას დროის სერვერთან სინქრონიზაცია უნდა მოხდეს ავტომატურად.
- 4.1.1.33. დატალოგერში კორექტირებისა და ცდომილების კორექციის მნიშვნელობების შეყვანა**
- ა) სენსორების კალიბრაციის დროს გამოვლენილი ცდომილების მნიშვნელობების გამოყენებული უნდა იქნას დატალოგერში მაკორექტირებელი მნიშვნელობების შესაყვანად.
 - ბ) საჭირო მაკორექტირებელი ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელია პირველი და მეორე რიგის განტოლებების დატალოგერში შეყვანა

- გ) დატალოგერის პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა შეეძლოს აუცილებელი შესწორებების განხორციელება.
- დ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს დატალოგერში მაკორექტირებელი მნიშვნელობების მარტივად შეყვანა სენსორის თითოეული საცდელი წერტილისა და დატალოგერისათვის.

4.1.1.34. დატალოგერში დაარქივებულ მონაცემებზე წვდომა

- ა) დატალოგერში დაკვირვების მონაცემები უნდა ინახებოდეს მინიმუმ 365 დღის განმავლობაში.
- ბ) დატალოგერის გამართულად ფუნქციონირების პირობებში უნდა იყოს შესაძლებელი დატალოგერში დაარქივებული მონაცემების მოპოვება ადგილზე ლეპტოპით ან დისტანციურად, ცენტრალური სერვერებიდან, დაარქივებული მონაცემების დაკარგვის გარეშე.
- გ) ამ მიზნის მისაღწევად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა კონტრაქტორმა შემსყიდველ უწყებას უნდა გადასცეს ინსტალაციის ფაზის დასრულებამდე.
- დ) იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა არქივირებისათვის გამოიყენება მეხსიერების ბარათი და შიდა მეხსიერება, დატალოგერმა უნდა განაგრძოს მონაცემების გადაცემა ბარათის ამოღების შემდეგაც და მონაცემები უნდა დაარქივდეს შიდა მეხსიერებაში.

4.1.1.35. პროგრამული უზრუნველყოფის ლოკალური და დისტანციური გაახლება და მიმდინარე მომსახურება

- ა) დატალოგერზე გაშვებული პროგრამული უზრუნველყოფის სამომავლო გადატვირთვა ან ვერსიის გაახლება შესაძლებელი უნდა იყოს ადგილზე ლეპტოპით.
- ბ) დატალოგერს უნდა გააჩნდეს შემდეგი ლოკალური ან დისტანციური მიმდინარე მომსახურების ფუნქციები:
 - დატალოგერის დაუმუშავებელი მონაცემების ანალიზი და მათ საკომუნიკაციო ხაზებით გადაცემა
 - დატალოგერის საწყისი კონფიგურაციის ანალიზი და ცვლილება
 - დატალოგერის პარამეტრების კონფიგურაციის ცვლილების შესაძლებლობა.
 - დატალოგერის გადატვირთვის შესაძლებლობა.

4.1.1.36. მიმდინარე მომსახურების/სერვისის რეჟიმი

- ა) დატალოგერი უნდა იყოს აღჭურვილი მიმდინარე მომსახურების/სერვისის რეჟიმით ან ფუნქციით.
- ბ) როდესაც მომხმარებელი დაუკავშირდება მომსახურების პორტს, შესაძლებელი უნდა იყოს სენსორების ცალ ცალკე ან ყველასი ერთად მომსახურების/სერვისის რეჟიმში გადართვა
- გ) თუ მიმდინარე მომსახურების/სერვისის რეჟიმი არ გამორთეს ხელით, 2 საათის შემდეგ სისტემა უნდა დაუბრუნდეს ნორმალური ოპერირების რეჟიმს.

4.1.1.37. დატალოგერის ტესტირება და კალიბრაცია

- ა) დატალოგერის მიმდინარე მომსახურების, ტესტირებისა და კალიბრაციის მეთოდები გადმოცემულ ინდა იქნეს კონტრაქტორის მიერ ნათელი და გასაგები ფორმით.
- ბ) შემსყიდველ უწყებას უნდა გადაეცეს დატალოგერის ტესტირებისა და კალიბრაციის შესახებ მწარმოებლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია.

4.1.2. სენსორების მახასიათებლები

ქვემოთ მოყვანილია AWS-ის სენსორების ტექნიკური მახასიათებლები და წარმადობა

4.1.2.1. ქარის სიჩქარისა და მიმართულების სენსორი

- ა) ქარის გაზომვებისთვის გამოყენებულ უნდა იქნას ულტრაბგერითი ქარის სიჩქარისა და მიმართულების გამათბობელიანი სენსორი სულ მცირე სამი გარდამქმნელით.
- ბ) სენსორის დაცვის კლასი უნდა იყოს IP66 ან უკეთესი. სენსორს უნდა მოყვებოდეს სამონტაჟო კომპლექტი და ის უნდა დამონტაჟდეს 10 მეტრის სიმაღლის ანმაზე.
- გ) სენსორს არ უნდა საჭიროებდეს მომსახურებას.
- დ) სენსორი უნდა იყოს აღჭურვილი თერმოსტატით კონტროლირებადი გამათბობლებით, რომლებიც დაიცავენ სენსორის გარდამქმნელებს და მხრებს ყინულიანი წვიმისა და თოვლის ნადებისაგან.
- ე) კორპუსი, მხარი და სამონტაჟო კომპლექტი დამზადებული უნდა იყოს უჟანგავი ფოლადისაგან.
- ვ) სენსორს თან უნდა ახლდეს ფრინველებისაგან დაცვის კომპლექტი.
- ზ) პასუხის დრო: 250 მწ ან უკეთესი.
- თ) სამუშაო ტემპერატურა: : -40°C - +60 °C ან უკეთესი
- ი) სენსორის წარმადობა სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ან უნდა იყოს უკეთესი: **ქარის სიჩქარე:**

□ გაზომვის დიაპაზონი	: 0 – 65 მ/წმ, ან უკეთესი
□ გარჩევადობა	: 0.01 მ/წმ, ან უკეთესი
□ ცდომილება	: ±0.1 მ/წმ ან ჩვენების 2%, რომელიც მეტია

ქარის მიმართულება:

□ გაზომვის დიაპაზონი	: 0 – 360°
□ გარჩევადობა	: 1°, ან უკეთესი
□ ცდომილება	: ±2° ან უკეთესი

4.1.2.2. ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სენსორი

- ა) ჰაერის ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის სენსორი უნდა დამონტაჟდეს ბუნებრივი ვენტილაციის მქონე რადიაციულ ეკრანში, 2 მეტრის სიმაღლეზე.

- ბ) რადიაციულ ეკრანს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 9 დისკოსებრი ფირფიტა, დამზადებული უნდა იყოს ულტრაიისფერი გამოსხივებით სტაბილიზებული თერმოპლასტიკური მასალისაგან და ჰქონდეს თეთრი გარსი. რადიაციული ეკრანის შიდა მხარე უნდა იყოს შავი რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკრანიდან სიციხის გაფანტვა.
- გ) უშუალოდ მომუშავე ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სენსორის გარდა, რადიაციულ ეკრანში დამატებით დამონტაჟებული უნდა იყოს სულ მცირე ერთი სატესტო სენსორი, ძირითადი სენსორის გადასამოწმებლად.
- დ) ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სენსორს თან უნდა ახლდეს რადიაციული ეკრანი და მთავარ ანძაზე დამონტაჟებისათვის აუცილებელი მხარები და აქსესუარები.
- ე) სენსორის წარმადობა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს ან უნდა იყოს უკეთესი:

ჰაერის ტემპერატურა:

- ტიპი : Pt-100 RTD
- გაზომვის დიაპაზონი : -40 °C - +60 °C, ან უკეთესი
- გარჩევადობა: 0.1 °C ან უკეთესი
- ცდომილება : ±0.3°C ან უკეთესი ფარდობითი

ტენიანობა:

- გაზომვის დიაპაზონი : 0 % - 100 %
- გარჩევადობა : 1% ან უკეთესი
- ცდომილება : ±3%, ან უკეთესი (ტემპერატურის დიაპაზონში -40 °C - +60 °C)

4.1.2.3. ნალექის სენსორი

- ა) ნალექის სენსორი უნდა იყოს აწონვის პრინციპზე დაფუძნებული ელექტრონული სენსორი რათა გაზომოს თხევადი, მყარი და შერეული ტიპის ნალექი.
- ბ) სენსორი აღჭურვილი უნდა იყოს გამათბობლით, რომელსაც ექნება შემდეგი საკონტროლო სისტემა: გამორთული, მუდმივად ჩართული, მუდმივად ჩართული სპეციფიკურ ტემპერატურულ დიაპაზონში, ჩართული ნალექების შემთხვევაში.
- გ) სენსორი მოწოდებულ უნდა იქნას 1.5 მ. ზომის სამონტაჟო სამაგრიტ რომელიც დამზადებული უნდა იყოს გალვანიზირებული ან უჟანგავი ფოლადისაგან.
- დ) სენსორი მოწოდებული უნდა იყოს ალტერის ტიპის 1.5 მ-ის სიმაღლის ქარის დამცავისაგან ერთად, რომელიც დამზადებულ იქნება უჟანგავი ფოლადისგან. ქარის დამცავს უნდა ჰქონდეს გასახსნელი სეგმენტი ნალექების სენსორთან უსაფრთხო შეღწევისათვის.
- ე) სენსორის წარმადობა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს ან უნდა იყოს უკეთესი:

- გაზომვის დიაპაზონი : ნალექი 0 - 50 მმ/წთ ან 0 - 3000 მმ/სთ
- შეგროვების არეალი : 400 სმ²
- ნალექის რაოდენობა : 750 მმ (ჩაწერადი)
- გარჩევადობა მმ/სთ : SDI-12 და RS-485: 0.01 მმ, 0.01 მმ/წთ ან
- ცდომილება (-25 - +45 °C): ოდენობა ±0.1 მმ ან
 გაზომილი სიდიდის ±1%. ინტენსივობა: ± 0.1 მმ/წთ, ± 6 მმ/სთ ან
 გაზომილი სიდიდის ±1 %.
- დაცვის კლასი : კორპუსი დახურული IP65, გახსნილი IP63.
 დატვირთვის უჯრედი: IP 68 ან უკეთესი, უნდა იყოს მარილის
 ნისლისადმი მედეგი.
- ინტერფეისები : USB (კონფიგურირების/სერვისის რეჟიმი და
 პროგრამული უზრუნველყოფის გაახლება)
- სერიული ინტერფეისი : SDI-12, RS-485, ციფრული გამოტანის არხები
- კაბელი : 10 მ.
- სერვისი : სერვისისათვის უნდა გამოიყენებოდეს
 USB ინტერფეისი. მოწოდება უნდა მოხდეს შესაბამისი სერვისის
 პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად, რაც უზრუნველყოფს
 კონფიგურაციას, მონიტორინგს, ატვირთვას და ტესტირებას.
- სამუშაო ტემპერატურა : -40 °C - +60°C ან უკეთესი
- სამუშაო ტენიანობა : 0 - 100% (არა კონდენსირებული)

სენსორს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა განახორციელოს შემდეგი მონაცემების
 გამოტანა:

- ნალექის ინტენსივობა (რეალური დროის)
- ნალექის ოდენობა (რეალური დროის / არა რეალური დროის)
- ნალექის მთლიანი ოდენობა (არა რეალური დროის)
- ნალექის შემგროვებლის შემცველობა (რეალური დროის / არა რეალური
 დროის)
- დატვირთვის უჯრედის ტემპერატურა
- სენსორის სტატუსი
- გამათბობელის სტატუსი

4.1.2.4. წნევის სენსორი

- ა) წნევის სენსორი უნდა იყოს ციფრული ტიპის, უნდა ჰქონდეს მინიმალური
 ცდომილება და ჰქონდეს გრძელვადიანი სტაბილურობა სამუშაო
 ტემპერატურის სრულ დიაპაზონში.
- ბ) წნევის სენსორი უნდა დამონტაჟდეს დატალოგერის ყუთში.
- გ) სენსორის წარმადობა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ
 მოთხოვნებს ან უნდა იყოს უკეთესი:

- გაზომვის დიაპაზონი : 500 – 1100 ჰჰა
- გარჩევადობა : 0.1 ჰჰა, ან უკეთესი
- ცდომილება : ± 0.15 ჰჰა, ან უკეთესი (მთელ შკალაზე და $-40\text{ }^{\circ}\text{C}$ - $+60\text{ }^{\circ}\text{C}$ სამუშაო ტემპერატურაზე)
- გრძელვადიანი სტაბილურობა : ± 0.1 ჰჰა/წელი, ან უკეთესი
- სამუშაო ტემპერატურა : $-40\text{ }^{\circ}\text{C}$ - $+60\text{ }^{\circ}\text{C}$

4.1.2.5. გლობალური მზის რადიაციის სენსორი

- ა) გლობალური მზის რადიაციის სენსორი უნდა დამონტაჟდეს 2 მეტრის სიმაღლეზე.
- ბ) სენსორი უნდა იყოს ISO 9060 სტანდარტით გათვალისწინებული “Class A” ტიპის.
- გ) სენსორის წარმადობა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს ან უნდა იყოს უკეთესი:

- გაზომვის დიაპაზონი : 0 – 4000 W/m² ,ან უკეთესი
- ტალღის სიგრძის დიაპაზონი nm (50% ერთეული): 285 – 2800 ,ან უკეთესი
- პასუხის დრო (95%) : 5 წამი, ან უკეთესი
- მგრძობელობა : 7-დან 14-მდე $\mu\text{V/W/m}^2$,ან უკეთესი
- არასტაბილურობის ცვლილება/1წელი: $\pm 0.5\%$, ან უკეთესი
- არაწრფივობა 1000W/m²-ზე : $\pm 0.2\%$, ან უკეთესი
- დაცვა: : IP67, ან უკეთესი კაბელის სიგრძე : 10 მ.
- სამუშაო ტემპერატურა : $-40\text{ }^{\circ}\text{C}$ - $+60\text{ }^{\circ}\text{C}$, ან უკეთესი

4.1.2.6. თოვლის საფარის სენსორი

- ა) სენსორი უნდა დაფუძნებულ იქნას ლაზერულ ტექნოლოგიაზე
- ბ) გამათბობელით აღჭურვილი თოვლის საფარის სიღრმის სენსორი უნდა დამონტაჟდეს 5 მეტრის სიმაღლეზე. ენერჯის მაქსიმალური მოხმარება არ უნდა აღემატებოდეს 20 ვატს.
- გ) მოწოდებისას სენსორს უნდა მოყვეს ანძაზე სამონტაჟო კომპლექტი.
- დ) სენსორის წარმადობა სულ მცირე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს ან იყოს უკეთესი:

- გაზომვის დიაპაზონი : 0 - 15 მ
- ინტერფეისი : SDI-12, RS-232, RS-485
- გარჩევადობა : 0.1 მმ ან უკეთესი
- კაბელი : 10 მ.
- ცდომილება : $\pm(5\text{ mm} + 0.06\%)$ ან უკეთესი

- დაცვის კლასი : IP68 ან უკეთესი
- სამუშაო ტემპერატურა : -40 °C - +50 °C, ან უკეთესი

4.1.2.7. თოვლში წყლის ექვივალენტის სენსორი

- ა) თოვლში წყლის ექვივალენტის სენსორი უნდა იყოს არა კონტაქტური, დისტანციური აზომვის ტიპის.
- ბ) უნდა დამონტაჟდეს 5 მეტრის სიმაღლეზე.
- გ) სენსორის წარმადობა სულ მცირე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს ან იყოს უკეთესი:
 - გაზომვის დიაპაზონი : 0-600 მმ
 - გარჩევადობა : 1 მმ
 - ცდომილება : ± 15 მმ (0-300 მმ); $\pm 15\%$ (300-600 მმ)
 - სამუშაო ტემპერატურა : -40°C - +40 °C, ან უკეთესი

4.1.2.8. ნიადაგის ტემპერატურის სენსორი

